ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2483053

ნომერი: AR1385053

თარიღი : 10.03.2016

გაცემის თარიღი : 16.03.2016

გაცნობის თარიღი : 16.03.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი აკ. წერეთელი , N 112 , ნაკვ.5/26) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი აფანასევი პ/ნ 01010004357
- თბილისი, შ. ნუცუბიძის ქ. #221 კორ. 4 ბ 10

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

ვინაიდან თქვენს მიერ წარმოდგენილი არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტო და ფოტომონტაჟის მიხედვით ვერ ხერხდება თქვენს მიერ დაგეგმილი სარეკონსტრუქციო სამუშაოების არსებულ სიტუაციასთან მიმართებაში სრულფასოვანი აღქმა (რის გამოც ვერ ხერხდება ამ სამუშაოების დასაშვებობის შეფასება), იმისათვის რომ სამსახურმა შეძლოს და იმსჯელოს თქვენს მიერ დაგეგმილი განსახორციელებელი სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობაზე საჭიროა გაითვალისწინოთ და წარმოადგინოთ:
1. საჭიროა მოთხოვნის ტექსტში ვრცლად განიმარტოს ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ. განიმარტოს არსებული ვენტილატორის შესახებ. გარდა ამისა:
2. საჭიროა შესაბამის ველებში დამატებით ატვირთულ იქნას მეტად შორი მანძილიდან გადაღებული არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა, სადაც გამოჩნდება მთლიანი შენობის სარეკონსტრუქციო არეალი პირველიდან ბოლო სართულამდე და მის საფუძველზე დამუშავებული ფოტომონტაჟი (გაბარიტული ზომების მითითებით).
3."ინფორმაცია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან" ველში – საკადასტრო ერთეულის დამატებაში, საკადასტრო კოდში მიუთითეთ სარეკონსტრუქციო ფართის მთლიანი საკადასტრო კოდი, წილობრივი მონაცემებით ან „ფაილის მიმაგრების“ ველში აიტვირთოს ფართის კუთვნილების დამადასტურებელი საბუთი – ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
4. ვინაიდან განცხადების შევსებისას არ იქნა მოწოდებული ინფორმაცია საპროექტო ფართის საკადასტრო კოდის წილობრივ მონაცემების შესახებ, გაურკვეველია საპროექტო ფართის მესაკუთრის ვინაობა. გამომდინარე აქედან გაცნობებთ, რომ არქიტექტურის სამსახურს განცხადებით უნდა მომართოს საპროექტო ფართის მესაკუთრემ, მოსარგებლემ ან მათმა მინდობილმა პირმა (მინდობილობა ატვირთული უნდა იყოს წარმომადგენლის მინდობილობა/რწმუნებულების ველში).

გაითვალისწინეთ: სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განაცხადი დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.